პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 94 (11098) | სამშაბათი, 22 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

# დღეს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 88 წლისთავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლენინის საქმე უკვდავია

დღეს საბჭოთა ადამიანები, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ყველა ქვეყნის მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი სიყვარულით და მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, რევოლუციის დიდი სტრატეგის, საერთაშორისო პროლეტარიატის გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ოთხმოცდამერვე წლისთავს.

ლენინის სახელი ძვირფასი და ახლობელია ასეულ მილიონობით ადამიანისათვის დედამიწის ყველა კუთხეში. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ მუშათა კლასისათვის, მშრომელი გლეხებისათვის, კაცობრიობის პროგრესისათვის ვ. ი. ლენინმა უმაგალითო მუშაობა გასწია.

ლენინი — მეცნიერული კომუნიზმის ეს უდიდესი თეორეტიკოსი ახლოს იდგა მშრომელ მასებთან, უბრალო ადამიანებთან. იგი არა მარტო ასწავლიდა მუშებს და გლეხებს, არამედ თვითონაც სწავლობდა მათგან, ყურს უგდებდა მასების ხმას. ხალხის ბელადის ეს კეთილშობილური უბრალოება და ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომის ნიჭი, მასებთან ახლო კავშირი და მოვლენების განჭვრეტის გენიალური უნარი იყო ის ძალა, რომელმაც ლენინიზმი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის მარქსიზმად აქცია.

ვ. ი. ლენინი ულმობელი იყო მარქსიზმის და მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან გამანადგურებელი პასუხი გასცა ყველა ჯურის ლიკვიდატორებს, ოპორტუნისტებს და მარქსიზმის რევიზიონისტებს. ლენინმა არა მარტო დაიცვა მარქსიზმი რევიზიონისტთა ხელყოფისაგან, არამედ კიდევაც განავითარა, წინ წასწია იგი ახალი ვითარების შესაბამისად.

ვ. ი. ლენინის დიდი დამსახურებაა სოციალისტური რევოლუციის საკითხების კონკრეტული დამუშავება, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიისა და მისი მოკავშირეების შესახებ მოძღვრების შემდგომი განვითარება. მან შეიმუშავა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისათვის ხელმძღვანელობის სტრატეგია და ტაქტიკა, შექმნა და გამოაწრთო ახალი ტიპის პარტია, შეიმუშავა მეცნიერული პროგრამა აგრარულ საკითხსა და ეროვნულ საკითხში.

ამასთან ერთად დიდი ლენინის შრომებში შემდგომი განვითარება ჰპოვა მარქსის ეკონომიურმა მოძღვრებამ, დიალექტიკურმა და ისტორიულმა მატერიალიზმმა.

ვ. ი. ლენინს ეკუთვნის მოძღვრება სოციალისტური რევოლუციის თავდაპირველად რამდენიმე ან სულაც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, ლენინის მიერ გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, შეიქმნა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფო. ამის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მშრომელები კომუნისტური პარტიის მეთაურობით მიემართებიან ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, აშენებენ ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ათეული წლების განმავლობაში სათავეში ედგა დიდი მარქსისტ-ლენინელი ი. ბ. სტალინი, რომელიც განაგრძობდა ვ. ი. ლენინის საქმეს. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია. შეიქმნა მძლავრი სოციალისტური მრეწველობა და სოციალისტური სოფლის მეურნეობა. საბჭოთა სახელმწიფოს მზარდ ძლიერებას საფუძვლად დაედო სსრ კავშირში შემავალ ხალხთა მტკიცე კავშირი და ურღვევი მეგობრობა. აყვავდა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა. ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალიზმმა, დამკვიდრდა ბედნიერი ცხოვრება ქალაქად და სოფლად.

საბჭოთა ხალხის ყველა წარმატების მთავარი პირობა ის არის, რომ იგი მჭიდროდ დარაზმულია კომუნისტური პარტიის გარშემო. პარტიის ბრძნულ საქმეებში მუდამ ცოცხლობს დიდი ლენინი. ლენინი და პარტია, პარტია და ხალხი განუყოფელი ცნებებია. მოხდენილად თქვა პოეტმა ვ. მაიაკოვსკიმ:

„ვიტყვით — ლენინი,
პარტია გვაქვს
წარმოდგენილი,
ვიტყვით — პარტია
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს".

ლენინის საქმისადმი მთელი ხალხის ერთგულებამ, პარტიისა და ხალხის ერთიანობამ მკაფიოდ იჩინა თავი დიდი სამამულო ომის პერიოდში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ფაშისტ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში გმირულად დაძლია ყველა სიძნელე, უცხოელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლა მშობლიური მიწა-წყალი და უანგაროდ ძმური დახმარება გაუწია ფაშიზმის უღელქვეშ მგმინავ მეზობელი ქვეყნების მშრომელებს.

ლენინის სახე აღაფრთოვანებდა საბჭოთა ხალხს დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში. მთელი ჩვენი ხალხის გმირობამ და თავდადებამ, ვერაგ მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ უკვდავია დიდი ლენინის საქმე.

ახლა ლენინის საქმის ერთგული საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვის პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისათვის, მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნისათვის, იბრძვის იმისათვის, რომ მოკლე დროში დავეწიოთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

კომუნიზმის მშენებლობის უკეთ წარმართვის მიზნით ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში მრავალი ღონისძიება განხორციელდა. დიდი ეფექტი მოახდინა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციამ. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ". ეს კანონი წარმატებით ხორციელდება მთელ ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მას მხურვალედ დაუჭირეს მხარი. კოლმეურნეობებმა მტს-ებისაგან შეისყიდეს ტრაქტორები, კომბაინები, იარაღ-მანქანები და ახლა ჩვენი კოლმეურნე მექანიზატორები ახლებურად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე. სოციალისტური სოფლის მშრომელებს აღაფრთოვანებთ ის ფაქტი, რომ მოკლე დროში სინამდვილედ იქცა დიდი ლენინის ოცნება სოფლის მეურნეობის მოწინავე ტექნიკით აღჭურვის შესახებ.

ვ. ი. ლენინის დაბადების ოთხმოცდამერვე წლისთავი აღინიშნება მუშათა საერთაშორისო დღის — პირველი მაისისათვის მზადების ვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებით აღფრთოვანებული მშრომელები სულ უფრო აჩაღებენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებას, ამრავლებენ შრომითს წარმატებებს, აძლიერებენ ბრძოლას მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად იბრძვიან იმისათვის, რომ მტკიცედ განახორციელონ ორი სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების — მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები. ამ მიზნით საბჭოთა კავშირმა ცალმხრივად შეწყვიტა ატომგულის იარაღის გამოცდა და მოუწოდა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მიბაძონ მის კეთილშობილურ მაგალითს.

ვ. ი. ლენინი დაპყრობითი ომების წინააღმდეგი იყო. ლენინის მოძღვრების ერთგულ საბჭოთა ხალხს ომი კაცობრიობისათვის დიდ უბედურებად მიაჩნია. იგი მხარს უჭერს მშვიდობას, იბრძვის მშვიდობისათვის. ჩვენ მშვიდობიან შრომითს შეჯიბრებაში შეგვიძლია ცხადვყოთ სოციალიზმის დიდი უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით. ღრმად გვწამს, რომ მომავალი სოციალიზმს ეკუთვნის.

კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში ჩვენი გამარჯვების წყარო ის არის, რომ ჩვენს საქმიანობას წარმართავს ბრძენი კომუნისტური პარტია, რომ გზას გვინათებს დიდი ლენინის უკვდავი იდეები. „დღეს ლენინის იდეებით, — ამბობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, — ცოცხლობს ყოველივე საუკეთესო, ყოველივე პატიოსანი და მოწინავე მსოფლიოში. ლენინიზმისადმი ერთგულება კომუნისტური მშენებლობის მომავალ გამარჯვებათა საწინდარია".

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

---

ხუტა ბერულავა

## ეს ახარებდა ვლადიმერ ლენინს

როდესაც ჩვენი საყვარელი ქართველი ხალხი
დედაქალაქში დუკადაზე. ძიგვაცილებდა,
მის მღელვარებას იატვრას მისას და გულის ძახილს
ასე მგონია, რომ ლენინიც იზიარებდა.

გზა მშვიდობის და გამარჯვების გვისურვა ყველას,
დავტოვეთ მტკვარი და მთაწმინდის მაღალი კალთა,
დავემშვიდობეთ ჩვენ თბილისში მშობლიურ ბელადს
და... მოღიმარი მეგვეგება მოსკოვის კართან.

დიდმა მოსკოვმა შვილებივით ჩაგვიკრა გულში,
მოგვიალერსა და აგვავსო სიცოცხლის ძალით,
როგორც ყოველთვის იმ ქრემლში და სიხარულში
არა გვტოვებდა ჩვენ ლენინის მზრუნველი თვალი.

იგი ხედავდა, როგორ სწვავდა გულგაშლილ ჩვენს ძმებს
ქართული სიტყვა თუ სიმღერა ერთად გაზრდილი,
„შავი მერცხალი" — აფრენილი ალაზნის ველზე,
„ხასანბეგურა" — დახვეული ქართულ ვაზივით...

იგი ხედავდა, და ხედავდა ქვეყანა მთელი,
რა მტკიცე არის საფუძველი ჩვენი ძმობისა,
და ახარებდა, ახარებდა ვლადიმერ ლენინს
ხეიმი ხალხთა ლენინური მეგობრობისა.

წარვლიან წლები, მზე ურიცხვჯერ ამოვა, ჩავა,
არ წაიშლება არასოდეს სიკეთის კვალი,
ადამიანებს გაუხათებს დღემუდამ ხვალს
ლენინის აზრი და ლენინის პარტიის თვალი!



ნახატი უჩა ჯაფარიძისა.

---

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

## მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტმა დაადგინა:

I.

მიენიჭოთ 1958 წლის ლენინური პრემიები ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის მეცნიერების დარგში:

1. **არციმოვიჩს** ლევ ანდრიას-ძეს, აკადემიკოსს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ლეონტოვიჩს** მიხეილ ალექსანდრეს-ძეს, აკადემიკოსს, **ლუკიანოვს** სტეფანე იურის-ძეს, **გოლოვინს** იგორ ნიკოლოზის-ძეს, **ოსოვეცს** სამუელ მარკის-ძეს, **ფილიპოვს** ნიკოლოზ ვასილის-ძეს, **ბაზილევსკაიას** ოლღა ალექსანდრეს ასულს, **ბრაგინსკის** სტალი იოსების-ძეს, **პოდგორნის** იგორ მაქსიმეს-ძეს, **ანდრიანოვს** ალექსანდრე მიხეილის-ძეს, **სინიცინს** ვასილ ივანეს-ძეს, **იავლინსკის** ნატან არონის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომის ენერგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს, — მაღალტემპერატურიანი პლაზმის მისაღებად გაზში მძლავრ საიმპულსო განმუხტვათა გამოკვლევებისათვის, რომლებიც გამოქვეყნებული იყო 1956-57 წლებში.

2. **ბოგოლიუბოვს** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, აკადემიკოსს, — არის კვანტურ თეორიასა და სტატისტიკურ ფიზიკაში ახალი მეთოდის შემუშავებისათვის, რასაც მოჰყვა, კერძოდ, ზედენადობის თეორიისა და ზეგამტარობის თეორიის დასაბუთება.

3. **რაზუვაევს** გრიგოლ ალექსის-ძეს, გორკის ნ. ი. ლობაჩევსკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, — ხსნარებში თავისუფალი რადიკალების ქიმიის დარგში გამოკვლევებისათვის, რომლებიც გამოქვეყნდა 1949-1957 წლებში.

4. [illegible]

5. **ბეტეხტინს** ანატოლი გიორგის-ძეს, აკადემიკოსს, **ზავარიცკის** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს, აკადემიკოსს (სიკვდილის შემდეგ), **კორჟინსკის** დიმიტრი სერგის-ძეს, აკადემიკოსს, **ნიკოლაევს** ვიქტორ არსენის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, — გამოკვლევებისათვის, რომლებიც ჩამოყალიბებულია 1955 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ძირითადი პრობლემები მოძღვრებაში მაგმატოგენური მადნების საბადოების შესახებ".

6. **ბუდიკოს** მიხეილ ივანეს-ძეს, პროფესორს, ა. ი. ვოეიკოვის სახელობის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორს — მეცნიერული შრომებისათვის „დედამიწის ზედაპირის თბური ბალანსი" და „თბური ბალანსის ატლასი", რომლებიც გამოქვეყნდა 1955-1956 წლებში.

7. **შატსკის** ნიკოლოზ სერგის-ძეს აკადემიკოსს, — სსრ კავშირისა და მოსაზღვრე ქვეყნების 1:5000000 მასშტაბის ტექტონიკური რუკის შედგენის მეცნიერული ხელმძღვანელობისათვის, რომელიც გამოქვეყნდა 1956 წელს.

8. **გორშენინს** კონსტანტინე პავლეს-ძეს, ომსკის ს. მ. კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს, — მეცნიერული შრომისათვის „ციმბირის სამხრეთი ნაწილის ნიადაგები", რომელიც გამოქვეყნდა 1955 წელს.

9. **სტრუმილინს** სტანისლავ გუსტავის-ძეს, აკადემიკოსს, — მეცნიერული შრომისათვის „შავი მეტალურგიის ისტორია სსრ კავშირში", ტ. I, რომელიც გამოქვეყნდა 1954 წელს.

10. **ენძელინს** იან მარცის-ძეს, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, — გამოკვლევებისათვის ბალტიის ფილოლოგიის დარგში, რომლებიც ჩამოყალიბებულია 1951 წელს გამოქვეყნებულ მეცნიერულ შრომაში „ლატვიური ენის გრამატიკა".

II.

1958 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ტექნიკის დარგში:

1. **კედრინსკის** ვასილ ნიკოლოზის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ბარსუკოვს** ალექსი ალექსის-ძეს, **ზახარიევს** დემიან ალექსის-ძეს, ლითონსაჭრელი ჩარხების ექსპერიმენტული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებს, **ზაგრიაზკინს** დიმიტრი ალექსანდრეს-ძეს, ქარხანა „სტანკოკონსტრუქციის" მთავარ ტექნოლოგს, — კონუსური კბილა თვლების დასამუშავებელი მაღალი წარმადობის ავტომატური ჩარხების გამის კონსტრუქციის შემუშავებისა და სამრეწველო ათვისებისათვის.

2. **გერასიმოვს** თევდორე მაქსიმეს-ძეს, ს. ი. ვავილოვის სახელობის სახელმწიფო ოპტიკური ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსს, **ჩეხმატაევს** დიმიტრი პავლეს-ძეს (სიკვდილის შემდეგ), — პრეციზიული დიფრაქციული ცხაურების დამზადების მეთოდების შემუშავებისათვის.

3. **კოსტენკოს** მიხეილ პოლიევქტის-ძეს, აკადემიკოსს, **ვენიკოვს** ვალენტინ ანდრიას-ძეს, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის პროფესორს, — მძლავრი ენერგოსისტემების, ზეშორ ელექტროგადაცემათა ხაზების, ენერგოდანადგარებისა და ელექტროსადგურების აპარატურის პრაქტიკულად გამოსაკვლევად ელექტროდინამიკური მოდელების შექმნისათვის.

4. **გუმენიკს** იაკობ იაკობის-ძეს, ტრესტ კუიბიშევუგოლის შახტ ზაიდაევსკაიას [illegible]

[illegible] კოვს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, ქარხანა „კრასნოე სორმოვოს" ყოფილ დირექტორს, **კომანდინს** ნიკოლოზ ლეონიდეს-ძეს, **კოროტკოვს** კონსტანტინე პეტრეს-ძეს, **მაიოროვს** ნიკოლოზ პავლეს-ძეს, **ხრიპკოვს** ალექსანდრე ვასილის-ძეს, იმავე ქარხნის მუშაკებს, **გრიცუნს** მიხეილ დანილას-ძეს, ნოვოტულის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს, **გურსკის** გიორგი ვასილის-ძეს, **კაზანსკის** ვლადიმერ ანდრიას-ძეს, იმავე ქარხნის მუშაკებს, — ფოლადის განუწყვეტელი სხმის პირველ სამრეწველო დანადგართა შექმნისათვის.

6. **იგნატჩენკოს** ევგენი ათანასეს-ძეს, რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს ნავთობმონტაჟის მთავარი სამმართველოს უფროსს, **რაევსკის** გიორგი ვლადიმერის-ძეს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, მუშაობის ხელმძღვანელებს, **ალექსეევს** ევგენი კონსტანტინეს-ძეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების მთავარ ტექნოლოგს, **დიდკოვსკის** ვსევოლოდ მათეს-ძეს, კუიბიშევის ლითონკონსტრუქციათა ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს, **ივანცოვს** ოლეგ მაქსიმეს-ძეს, მილსადენთა მშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის მოადგილეს, **კორნიენკოს** ვიქტორ სტეფანეს-ძეს, № 65 შემდუღებელ-სამონტაჟო ტრესტის მთავარ ინჟინერს, **ლიახოვს** ვლადიმერ სტეფანეს-ძეს, № 7 სამონტაჟო-შემდუღებელი ტრესტის მმართველს, **პოპოვსკის** ბოგდან ვასილის-ძეს, ნავთობმონტაჟის მთავარი სამმართველოს მთავარ ტექნოლოგს, — რულონებად დახვეული ბრტყელი ფურცლებისაგან ნავთობის რეზერვუარების მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდის შემუშავებისა და დანერგვისათვის.

---

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

## ხელოვნების დარგში ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებისათვის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტმა დაადგინა მიენიჭოთ 1958 წლის ლენინური პრემიები სახვითი ხელოვნების, მუსიკის ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის და თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებისათვის:

1. **ანიკუშინს** მიხეილ კონსტანტინეს-ძეს — ა. ს. პუშკინის ძეგლისათვის ქალაქ ლენინგრადში.

2. **ტოვსტონოგოვს** გიორგი ალექსანდრეს-ძეს, რეჟისორს, **ტოლუბეევს** იური ვლადიმერის-ძეს, მსახიობს — სპექტაკლისათვის „ოპტიმისტური ტრაგედია" ლენინგრადის ა. ს. პუშკინის სახელობის დრამის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

3. **ჭაბუკიანს** ვახტანგ მიხეილის-ძეს — ბალეტ „ოტელოს" დადგმისა და ოტელოს როლის შესრულებისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

4. **შოსტაკოვიჩს** დიმიტრი დიმიტრის-ძეს — მეთერთმეტე სიმფონიისათვის „1905 წელი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ

„საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1958 წლის 26 თებერვლის დადგენილების შესაბამისად და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 31 მარტის კანონის შესასრულებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, რაიონულმა კომიტეტებმა, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო, საოლქო და რაიონულმა აღმასკომებმა:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებად მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის ღონისძიებანი, ამასთან გაითვალისწინონ რაიონებისა და კოლმეურნეობების თავისებურებანი;

ბ) გამოარკვიონ, რა მანქანები უნდა მიეყიდოთ კოლმეურნეობებს და რა მანქანები უნდა იქნას დატოვებული სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, ამასთან გაითვალისწინონ კოლმეურნეობათა სურვილები და სოფლის მეურნეობაში არსებული მთელი ტექნიკის ყველაზე ეფექტიანი გამოყენების საჭიროება;

გ) მოაწყონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კუთვნილი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მიყიდვა კოლმეურნეობებისათვის. რაიონებისა და კოლმეურნეობების ეკონომიკის ღრმად შესწავლის საფუძველზე გამოარკვიონ, რომელ კოლმეურნეობებს შეუძლიათ წელს იყიდონ ტრაქტორები და სხვა მანქანები და ყაირათიანად გამოიყენონ ისინი, რომელ კოლმეურნეობებს დასჭირდებათ მეტი ვადა ტექნიკის შესაძენად და რომელი კოლმეურნეობებისათვის მიზანშეწონილია დროებით დარჩეს საწარმოო-ტექნიკური მომსახურების არსებული წესი.

დაწესდეს, რომ, დაწყებული 1958 წლიდან, ახალი ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მექანიზმები და მოწყობილობა, რომლებიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, თავისუფლად მიეყიდებათ კოლმეურნეობებს ნაღდ ანგარიშზე ან ამ მიზნისათვის კრედიტის მიცემით.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში არსებული ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები კოლმეურნეობებს უნდა მიეყიდოს ნებაყოფლობის საწყისებზე მათი განცხადებით მხოლოდ ტექნიკურად წესივრულ, საექსპლოატაციოდ ვარგის მდგომარეობაში. კოლმეურნეობას უნდა მიეყიდოს, როგორც წესი, იმ სატრაქტორო ბრიგადებისათვის მიჩენილი მანქანები, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ მოცემულ კოლმეურნეობას.

იმ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ყველაზე სწორი შეფასების მიზნით, რომლებიც კოლმეურნეობებს მიეყიდებათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან, და იმისათვის, რომ ამ საქმეში დაშვებულ არ იქნას შეცდომები, დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო, რაიონულ აღმასკომებსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) შექმნან რაიონებში კომისიები შემდეგი შემადგენლობით: რაიაღმასკომის თავმჯდომარე — კომისიის თავმჯდომარე, საოლქო აღმასკომის (სამხარეო აღმასკომის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, იმ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს) წარმომადგენელი, საოლქო, სამხარეო ან რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო და საფინანსო ორგანოების წარმომადგენლები, სახელმწიფო ბანკის ან სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენელი, მტს-ის დირექტორი და შესაბამისი კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

დაეკისროთ ამ კომისიებს შეაფასონ ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობა და გაცვეთა, დააწესონ გასაყიდი ფასი, აგრეთვე განსაზღვრონ იმ ტექნიკის ფასის გადახდის ვადები, რომელსაც კოლმეურნეობები ყიდულობენ.

აღნიშნული კომისიების მუშაობაში ჩააბან კვალიფიციური სპეციალისტები მანქანების ტექნიკური მდგომარეობისა და გაცვეთის გამოსარკვევად;

ბ) უზრუნველყონ კონტროლი კოლმეურნეობებისათვის მისაყიდი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების სწორი შეფასებისადმი, სასტიკად აღკვეთონ ცალკეული მუშაკების მხრივ მოიმედეობის არასწორი განწყობილება — შემცირებულ ფასებში მიჰყიდონ კოლმეურნეობებს ტექნიკა, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს.

დაწესდეს, რომ ექსპლოატაციაში ნამყოფი იმ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ფასები, რომლებიც კოლმეურნეობებს უნდა მიეყიდოთ, განისაზღვრება მათი სამსახურის ვადის, გაცვეთის ოდენობის და საერთო ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შემდეგი წესით:

ა) ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, რომლებსაც მრეწველობა უშვებს (მიუხედავად იმისა, თუ რა დროს მიიღეს ისინი მტს-ში) ფასდება მოქმედი საპრეისკურანტო ფასების მიხედვით, რასაც ემატება მომმარაგებელი და სავაჭრო ორგანიზაციების ფასნამატი, აგრეთვე მანქანების მიტანისა და აწყობის ხარჯები;

ბ) წარმოებიდან მოხსნილი ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, რომელთა ფასები ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებული არ არის საბითუმო ფასების მოქმედი პრეისკურანტებით, შეფასდება ანალოგიური მანქანების მოქმედი ფასების მიხედვით მათ კონსტრუქციულ და საექსპლოატაციო თვისებათა გათვალისწინებით;

გ) იმ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ფასებს, რომლებიც დამზადებულია ცალკე შეკვეთებით მცირე პარტიებად და რომლების მოქმედი საპრეისკურანტო ფასები არ არსებობს, აწესებენ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო და საოლქო აღმასკომები.

დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ერთი კვირის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ იმ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების შეფასების ინსტრუქცია, რომლებიც მტს-ებიდან კოლმეურნეობებს მიეყიდებათ, და ინსტრუქციაში გაითვალისწინონ მანქანების ფასების დადგენის წესი, რათა ეს ფასები შეესაბამებოდნენ მანქანების ნამდვილ ტექნიკურ მდგომარეობას და გასაყიდი ტექნიკის ღირებულების განსაზღვრისას ზარალი არ მოუვიდეს სახელმწიფოს.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები მტს-ებში ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და იარაღებს იძენენ ნაღდ ანგარიშზე ან განაწილვადებით.

იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც ყიდვისას არ შეუძლიათ მთლიანად გადაიხადონ შესაძენი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ფასი, ეძლევათ ფასის გადახდის განაწილვადება 2-3 წლამდე — რაიაღმასკომების გადაწყვეტილებით და 5 წლამდე—საოლქო აღმასკომების, სამხარეო აღმასკომების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებით, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ.

ფასის გადახდის განაწილვადების მიცემისას კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაწესებულებებს აძლევენ ვალდებულებას, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მათთვის მიყიდული მანქანების ფასის გადახდის ვადები და თანხები. ამ გადასახდელების ვადაზე გადახდისას პროცენტი არ გადახდება. იმ შემთხვევებში, როცა კოლმეურნეობა დროზე ვერ ფარავს ამ დავალიანებას, იგი ვალდებულია ვადის გასვლის დროისათვის გადაიხადოს გადაუხდელი თანხის პროცენტები იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო ბანკის ვადაგასული სესხებისათვის.

დაწესდეს, რომ სახსრები, რომლებიც კოლმეურნეობათაგან შემოდის მათთვის მიყიდული ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღებისათვის, ჩაირიცხება საკავშირო ბიუჯეტის განსაკუთრებულ ანგარიშზე.

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) მიიღონ ღონისძიებანი მტსებსა და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში ტექნიკურად ვარგის მდგომარეობაში იმ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოსაყვანად, რომლებიც კოლმეურნეობებს არ მიეყიდათ, და უზრუნველყონ მათი ჯეროვანი გამოყენება და შენახვა;

ბ) აღრიცხონ ის ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები (მარკების მიხედვით), რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობების მიხედვით არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ რესპუბლიკის ფარგლებში, და გამორკვევის კვალად, მაგრამ არაუგვიანეს 1958 წლის 1 ოქტომბრისა, შეიტანონ წინადადება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ამ ტექნიკის ხელახლა განაწილებისა და გამოყენების შესახებ.

## სარემონტო-ტექნიკური სადგურების შესახებ

კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მიყიდვასთან და მათი საწარმოო-ტექნიკური მომსახურების წესის შეცვლასთან დაკავშირებით სარემონტო ტექნიკურ სადგურებს დაეკისროთ შესრულონ შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

ა) შეაკეთონ ტრაქტორები, კომბაინები, ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, რომლებიც ეკუთვნის კოლმეურნეობებს, აგრეთვე სახელოსნოების არმქონე საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ბ) დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენებასა და ტექნიკურ მომსახურებაში;

გ) განახორციელონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამელიორაციო, საირიგაციო, დაგეგმარებითი და საგზაო სამუშაოები, პლანტაჟის სამუშაოები ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად, ტორფის, კირის მექანიზებული მოპოვებისათვის და სხვა სამუშაოები, აგრეთვე გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობა;

დ) მიაქირაონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მათი თხოვნისამებრ, მანქანები, რომელთა შეძენა მათთვის მიზანშეწონილი არ არის სამუშაოთა უმნიშვნელო მოცულობის გამო. ამ მანქანებზე სამუშაოდ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გამოჰყოფენ საჭირო მუშახელს;

ე) დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეცხოველეობის და მეურნეობის სხვა დარგების შრომატევადი პროცესების მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაში;

ვ) დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სხვა ტვირთების გადაზიდვაში;

ზ) მოაწყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება მათთვის ახალი ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, ნავთობპროდუქტების, სასუქების, შხამქიმიკატებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის მიყიდვის გზით;

თ) დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალი ტექნიკის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დასანერგავად მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენებისა და მოვლა-შენახვის დარგში აგრეთვე მექანიზატორთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში;

ი) განახორციელონ სახელმწიფო ტექნიკური მეთვალყურეობა მანქანა-ტრაქტორთა პარკის მდგომარეობისადმი რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში;

კ) შეასრულონ სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში უნდა იყოს: კარგად აღჭურვილი სახელოსნოები, რომლებითაც შესაძლებელი იქნება მთელი წლის განმავლობაში აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთება მოწინავე ტექნოლოგიის საფუძველზე, ისე რომ სარემონტო სამუშაოების ხარისხი მაღალი იყოს და თვითღირებულება დაბალი; ნავთობბაზები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სათადარიგო ნაწილებისა და სხვადასხვა მასალების საწყობები; რაზმები ან ბრიგადები, აღჭურვილნი ავტოტრანსპორტით, სამელიორაციო საგზაო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა ტექნიკით, აგრეთვე მანქანებითა და აპარატურით სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. გარდა ამისა, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს შეიძლება ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაქირავებლად.

იმისათვის, რომ სარემონტო სამუშაოთა სასწრაფოდ შესრულებაში კოლმეურნეობებს გაეწიოთ ტექნიკური დახმარება, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს უნდა ჰქონდეთ ავტომოძრავი სარემონტო სახელოსნოები.

რაიონებში სარემონტო-ტექნიკური სადგურების რაოდენობას განსაზღვრავენ და ამტკიცებენ საოლქო აღმასკომები და პარტიის საოლქო კომიტეტები, სამხარეო აღმასკომები და პარტიის სამხარეო კომიტეტები, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და იმ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ. სარემონტო-ტექნიკური სადგურები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სამუშაოებს ასრულებენ სახელშეკრულებო პირობებით.

სარემონტო-ტექნიკური სადგურების საქმიანობა ხორციელდება სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა:

ა) კოლმეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტერიტორიული განლაგებისა და სარემონტო სამუშაოთა მოცულობის მიხედვით განსაზღვრონ სარემონტო-ტექნიკური სადგურების ადგილმდებარეობა და საჭიროების მიხედვით მოაწყონ სარემონტო-ტექნიკური სადგურების განყოფილებანი რეორგანიზებული მტს-ების ბაზაზე;

ბ) მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ განთავისუფლებული შენობები და მოწყობილობა, რომლებიც სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს და მათს განყოფილებებს არ ესაჭიროებათ, გადასცენ საბჭოთა მეურნეობებს ან მიჰყიდონ კოლმეურნეობებს.

აღნიშნული ქონება უნდა შეაფასონ რაიონულმა კომისიებმა საბალანსო ღირებულებისა და მისი ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით.

ცნობილ იქნას მიზანშეწონილად დროებით დარჩეს მტს-ების მეშვეობით ან იმავე პირობების მიხედვით სარემონტო-ტექნიკური სადგურების მეშვეობით იმ კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურება, რომლებსაც ამჟამად შესაძლებლობა არა აქვთ შეიძინონ ტრაქტორები და სხვა მანქანები და არ შეუძლიათ ეფექტიანად გამოიყენონ ეს ტექნიკა.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებში, რომ აწარმოონ და მიაწოდონ სოფლის მეურნეობას ძრავები, აგრეგატები და ტრაქტორების, ავტომობილებისა და რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების კვანძები ისეთი რაოდენობით, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში შეიქმნას საცვლელი ფონდი იმ მანქანების საერთო პარკის 15 პროცენტის ოდენობით, რომლებიც სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებშია.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს იქონიონ უმარტივესი სახელოსნოები ტრაქტორების ტექნიკური მოვლისა და მარტივი სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით ორი თვის ვადაში შეიმუშაოს პროექტი დებულებისა სარემონტო-ტექნიკური სადგურისა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის მდგომარეობისადმი სახელმწიფო-ტექნიკური მეთვალყურეობის შესახებ და წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით დაამტკიცონ სარემონტო-ტექნიკური სადგურების მიერ მანქანების სარემონტოდ მიღებისა და რემონტის შემდეგ მათი გაცემის წესი და პირობები, მანქანების რემონტისათვის სარემონტო-ტექნიკურ სადგურებთან კოლმეურნეობათა ანგარიშსწორების წესი, სარემონტო-ტექნიკური სადგურის ტექნიკის გამოყენების წესი, იმ სპეციალიზებული სამუშაოებისათვის ანგარიშსწორების პირობები, რომლებსაც შეასრულებენ სარემონტო-ტექნიკური სადგურები, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისათვის მანქანების მიქირავების პირობები.

დაწესდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ მებრძოლი რაზმების მუშაკთა შრომის და მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობისადმი სახელმწიფო მეთვალყურეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯები უნდა დაიფაროს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ სარემონტო-ტექნიკური სადგურების შტატები.

დაუწესდეთ სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკებს თანამდებობრივი განაკვეთები იმ განაკვეთების დონეზე, რომლებიც გათვალისწინებულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შესაბამისი მუშაკებისათვის.

ახალი ტექნიკის პროპაგანდის ორგანიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მისი დანერგვის მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სახალხო მეურნეობის საბჭოებს დაევალოთ გამართონ გამოფენები და ფართოდ უჩვენონ მუშაობის დროს ახალი მანქანები მათი გამოყენების ზონაში. მანქანები, რომლებმაც გაიარეს სახელმწიფო გამოცდა და ცხადყვეს თავიანთი ეკონომიური და კონსტრუქციული უპირატესობანი და რომლებიც მიღებულია წარმოებაში, გამოუყონ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს (კოლმეურნეობებისათვის საჩვენებლად), მოწინავე საბჭოთა მეურნეობებს, საოლქო და სამხარეო საცდელ სასოფლო-სამეურნეო სადგურებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებს.

სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოებისათვის მიღებულ ახალ ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და იარაღებს. ამ მიზნით სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში უნდა იყოს კატალოგები, პლაკატები და სხვა მასალები, რომლებიც ახასიათებენ ამ მანქანების უპირატესობას. შემოღებულ იქნას პრაქტიკაში, რომ ის მეურნეობები, რომლებშიც უჩვენებენ ახალ მანქანებს, დაათვალიერონ კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა, კოლმეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ინჟინრებმა და მექანიზატორებმა.

დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს და ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მწარმოებელ საწარმოთა ხელმძღვანელებს სისტემატური ღონისძიებანი მანქანების ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკების მონაწილეობით წარმოებაში ახლად მიღებული ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხარისხისა და არსებული მანქანების მოდერნიზაციის საკითხებზე. კონფერენციებზე აღნიშნული საკითხების განხილვის შედეგების მიხედვით განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მანქანების კონსტრუქციათა შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად ორი თვის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ახალი კონსტრუქციების ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების საცდელი ნიმუშებისა და პარტიების შემუშავებისა და დამზადების წესის და მათი გამოცდისა და წარმოებაში გაშვების წესის შესახებ.

ახალი მანქანების სერიების ოდენობას და მათი დამზადების შეკვეთებს აწესებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად. ამ მანქანების ღირებულებას ანაზღაურებენ მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროები ცენტრალიზებული წესით იმ სახსრებით, რომლებიც ამ სამინისტროებს გათვალისწინებული აქვთ კაპიტალდაბანდებათა გეგმით.

სარემონტო-ტექნიკური სადგურებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის სამუშაოთა შესრულებაში დახმარების გაძლიერების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალოთ განახორციელონ ღონისძიებანი მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროთა გამგებლობაში მყოფი სარემონტო ქარხნების განსამტკიცებლად და დაეკისროთ ამ ქარხნებს კაპიტალური რემონტი გაუკეთონ იმ ავტომობილებს, ავტოსატრაქტორო და სტაციონარულ ძრავებს, სადაზგო, ელექტროძალოვან და სხვა ტექნოლოგიურ მოწყობილობას, რომლებიც ეკუთვნით სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, აგრეთვე დაეკისროთ არასტანდარტული სარემონტო მოწყობილობის დამზადება.

## სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის შესახებ

რადგან ახალ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებს, საჭიროდ იქნას მიჩნეული გაუმჯობესდეს მანქანებით, მოწყობილობით, სათადარიგო ნაწილებით და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მომარაგების ორგანიზაცია და ძირითად მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა გაყიდვა თავმოყრილ იქნას ერთ ადგილას — სარემონტო - ტექნიკურ სადგურებში.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში იძენენ ტრაქტორებს, კომბაინებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ავტომობილებს, მოწყობილობას, სათადარიგო ნაწილებს, ნავთობპროდუქტებს, სასუქებს, მასალებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის განკუთვნილ სხვა საქონელს. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მანქანებს, მოწყობილობასა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონელს მიჰყიდიან სარემონტო-ტექნიკური სადგურები, მათი შეკვეთების საფუძველზე ერთიან ფასებში სათანადო ფასნამატით.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „ცენტროსოიუზს" მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება სარემონტო-ტექნიკური სადგურების მეშვეობით კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მისაყიდად მასალებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის ნომენკლატურის შესახებ.

დაწესდეს, დაწყებული 1958 წლიდან, საბჭოთა მეურნეობებისათვის, სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის განაწილების არსებული წესის ნაცვლად, სარემონტო-ტექნიკური სადგურების მეშვეობით ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სხვა მოწყობილობის თავისუფალი მიყიდვის წესი საბჭოთა მეურნეობების განაცხადებით, ამ მიზნით საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა ლიმიტების ფარგლებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რა ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებით და საკისარებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მომარაგების საკითხს, დაეკისროთ სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეებს პერსონალური პასუხისმგებლობა ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო და მიწსასთხრელი მანქანების სათადარიგო ნაწილებისა და საკისარების წარმოებისათვის.

დაწესდეს, რომ იმ სამრეწველო საწარმოთა საწარმოო გეგმა, რომლებიც ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებს ამზადებენ, შესრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ შეასრულა მიცემული ნომენკლატურით აღნიშნული სათადარიგო ნაწილების წარმოების გეგმა.

აეკრძალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს წარმოებიდან მოხსნან ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეუთანხმებლად.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეიტანონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში:

ა) ორი კვირის ვადაში წინადადებანი ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებისა და საკისარების და თვლიანი ტრაქტორების შინების 1958 წელს დამატებით წარმოებისა და მიწოდების შესახებ;

ბ) ერთი თვის ვადაში წინადადებანი ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების გამოსაშვებად საწარმოო სიმძლავრეთა შექმნის შესახებ და მხედველობაში იქონიონ სახალხო მეურნეობის სრული დაკმაყოფილება აღნიშნული სათადარიგო ნაწილებით მანქანა-ტრაქტორებისა და ავტომობილის პარკის ყოველწლიური ზრდის გათვალისწინებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს ეკისრებათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფუნქციები, დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განიხილონ კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მისაყიდად მანქანებით და საწარმოო დანიშნულების საქონლით სარემონტო-ტექნიკური სადგურების მომარაგების გაუმჯობესებისა და გამარტივების საკითხი.

წინადადებანი ამ საკითხზე სამი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

სანამ მომარაგების ახალი წესი დადგინდებოდეს, სოფლის მეურნეობის მომარაგების მთავარსამმართველოს, ავტომანქანებისა და ტრაქტორების გასაღების მთავარსამმართველოს, ნავთობის გასაღების მთავარსამმართველოსა და სხვა გამსაღებელი ორგანიზაციების სისტემის ბაზებსა და განყოფილებებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მომარაგებაზე მუშაობენ დაეკისროთ პასუხისმგებლობა კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მისაყიდად მანქანებისა და საწარმოო დანიშნულების საქონლის სარემონტო-ტექნიკური

(დასასრული მე-3 გვ.).

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ

(დასასრული)

სადგურებისადმი მიწოდებისათვის.

დაეკისროთ სოფლის მეურნეობის საოლქო და სამხარეო სამმართველოებს, ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებსა და იმ მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, სარემონტო-ტექნიკური სადგურების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ხელმძღვანელობა.

დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში სარემონტო-ტექნიკური სადგურებისათვის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ტრანზიტით მინერალური სასუქების, მანქანების, მოწყობილობისა და მასალების შემოტანა, აგრეთვე მათთვის მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების მიწოდება კონტეინერებით, მცირე პარტიებად და ცალკე ვაგონებით (ნაკრებით).

გზათა სამინისტრომ აღნიშნული ტვირთზიდვისათვის გამოჰყოს ვაგონები და კონტეინერები ტვირთების წარდგენის შემდეგ.

## მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის ინსპექციათა შესახებ

რადგან საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელების საქმეში განსაკუთრებით იზრდება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა და ამ ღონისძიებებით თავს იჩენს პარტიის ზრუნვა საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების როლის ამაღლებისათვის, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ცვლილებათა შეტანა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სტრუქტურაში, შეიქმნას მათ შემადგენლობაში სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციები.

დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეა. სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე, როგორც წესი, ინიშნებიან უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე პირნი.

დაეკისროთ სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდისა და დანერგვის, მეთესლეობისა და საჯიშე საქმის, მიწათმოწყობისა და მიწების სახელმწიფო აღრიცხვის ორგანიზაციის, ვეტერინარული სამსახურის მოწყობის, სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებისადმი მეთვალყურეობის. საბუღალტრო აღრიცხვის მოწესრიგებასა და კოლმეურნეობათა წლიური და კვარტალური ანგარიშების შემუშავებაში კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის ფუნქციები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დაამტკიცონ დებულება სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციათა შესახებ.

გადაცემულ იქნას ვეტერინარული უბნები და პუნქტები რაიონულ ვეტერინარულ სამკურნალოთა გამგებლობაში, ხოლო მათი დაფინანსება წარმოებდეს ადგილობრივი ბიუჯეტით.

დატოვოთ აღნიშნული უბნებისა და პუნქტების მუშაკებს თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებსაც ისინი იღებენ.

დაეკისროთ რაიონულ ვეტერინარულ სამკურნალოებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ვეტერინარული მომსახურება, რომლებსაც თავიანთი ვეტერინარული სამსახური არა აქვთ, აგრეთვე იმ პირუტყვისა და ფრინველის ვეტერინარული მომსახურება, რომელიც მოსახლეობის პირად საკუთრებაშია.

გადაცემულ იქნას სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების გამგებლობაში რეორგანიზებული მტს-ების თესლის საკონტროლო და აგროქიმიური ლაბორატორიები, ხოლო მათი დაფინანსება წარმოებდეს ადგილობრივი ბიუჯეტით, აგრეთვე გადაცემულ იქნას სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესვლის სადგურები და მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები.

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების შტატები და ამ ინსპექციათა მუშაკების თანამდებობრივი განაკვეთები მტს-ების შესაბამის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით.

ცნობილ იქნას მიზანშეწონილად, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეიქმნას საწარმოო-ტექნიკური საბჭოები, რომლებიც განიხილავენ და მოამზადებენ წინადადებებს სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის შესახებ.

საწარმოო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის უფროსი, რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და სპეციალისტები, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორები და სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის მთავარი სპეციალისტები, რაიონული საგეგმო კომისიის, სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლები, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და სასწავლებელთა მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები და სხვა მუშაკები.

საწარმოო-ტექნიკური საბჭოს წევრთა პერსონალურ შემადგენლობას და თავმჯდომარეს ამტკიცებს რაიაღმასკომი.

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების მსვლელობის შესახებ ანგარიშს წარუდგენენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექციას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ნაკრები საანგარიშო მონაცემები დროზე წარედგინოს სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციას.

## კ ა დ რ ე ბ ი ს  შ ე ს ა ხ ე ბ

საჭიროდ იქნას მიჩნეული, რომ მტს-ების რეორგანიზაციისას მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტრაქტორისტები და მექანიზატორთა სხვა კადრები, როგორც წესი, გადავიდნენ სამუშაოდ იმ კოლმეურნეობებში, რომლებშიც ისინი მუშაობდნენ.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მუდმივ სამუშაოზე მიიღონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სარეორგანიზაციო მტს-ებიდან და ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები დაამთავრეს, გამოიყენონ ისინი როგორც ინჟინრები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები და კოლმეურნეობათა სხვა სპეციალისტები, საწარმოო ბრიგადების ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები, აგრეთვე დააწინაურონ ისინი სხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება დააწესონ თვითეულ კოლმეურნეობაში მიღებული საერთო წესის შესაბამისად და წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე, მაგრამ ისე, რომ მექანიზატორთა ანაზღაურების დონე არ იყოს იმ ანაზღაურებაზე ნაკლები, რასაც ისინი იღებდნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, გამომუშავების ნორმისათვის საგარანტიო მინიმუმით. მექანიზატორებს მიუჩინონ იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, სახნავ-სათესი მიწები ხანგრძლივი ვადით, რათა შექმნან მექანიზატორთა დაინტერესება ორგანული სასუქების, დაკირიანების და სხვა იმ ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ხელს უწყობენ ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებას.

სპეციალისტების შრომის ანაზღაურება აწარმოონ იმის გათვალისწინებით, რომ მათი თვიური ხელფასი არ იყოს იმ თანამდებობრივ განაკვეთზე ნაკლები, რომელიც დაწესებულია მტს-ების შესაბამისი სპეციალისტებისათვის;

ყოველთვიურად მისცენ ავანსი მექანიზატორებს სხვა კოლმეურნეების თანაბრად, მაგრამ იმაზე არა ნაკლები ოდენობით, რასაც ისინი მტს-ებსა და კოლმეურნეობებში იღებდნენ საგარანტიო მინიმუმით.

იმასთან დაკავშირებით, რომ მტს-ების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა უმრავლესობა გაგზავნილ იქნება კოლმეურნეობებში სამუშაოდ 1958 წლის გაზაფხულზე, როცა კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილება 1957 წლის საწარმოო საქმიანობის შედეგების მიხედვით უკვე დამთავრდა, 1958 წლის 1 ივლისამდე შენარჩუნებულ იქნას მტს-ებიდან კოლმეურნეობებში სამუშაოდ გადასული სპეციალისტების ხელფასის გადახდა იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც 1958 წელს გამოყოფილია მტს-ების მუშაკების ხელფასის გადასახდელად.

დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს შეიმუშაონ წინადადებანი სოფლის მეურნეობის იმ სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების შესახებ, რომლებიც მტს-ებში მუშაობენ და სამუშაოდ გადადიან ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებში, და ერთი თვის ვადაში წარუდგინონ ეს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

შენარჩუნებულ იქნას იმ მექანიზატორთა და სპეციალისტთა შეღავათიანი ანაზღაურებისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დახმარების გადახდის მოქმედი წესი, რომლებიც გადავიდნენ კოლმეურნეობებში მტს-ებიდან მათ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე კოლმეურნეობებში მათი მუშაობის დრო ჩაეთვალოთ საერთო შრომითის სტაჟში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ხარჯები აღნიშნული მიზნებისათვის გაიღონ იმ სახსრების ანგარიშზე, რომლებიც 1958 წელს გათვალისწინებულია მტს-ების ხარჯთაღრიცხვით შეღავათებისა და სოციალური დაზღვევის ანარიცხების გადასახდელად.

დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სამი თვის ვადაში შეიმუშაონ წინადადებანი მექანიზატორების, სპეციალისტებისა და კოლმეურნეობათა სხვა წევრების სოციალური უზრუნველყოფის სისტემის და მათი შეღავათების ანაზღაურების წესის შესახებ და წარუდგინონ ისინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შეუქმნან მექანიზატორებსა და სპეციალისტებს ნორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, მისცენ მათ კოლმეურნეთა თანაბრად საკარმიდამო ნაკვეთები, აგრეთვე დახმარება გაუწიონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში.

დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს 1958-1960 წლებში კოლმეურნეობებს მისცეს კრედიტი იმ მექანიზატორებისა და სპეციალისტებისათვის საცხოვრებელი სახლების ასაგებად, რომლებიც მტს-ებიდან კოლმეურნეობებში გადავიდნენ, 7 ათასამდე მანეთის რაოდენობით საცხოვრებელ სახლზე 7 წლის ვადით, რის დაფარვაც უნდა დაიწყოს კრედიტის მიღების მეორე წლიდან.

გავრცელდეს კოლმეურნეობებზე უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მტს-ებში მოქმედი წესები.

დაევალოს საკავშირო პროფსაბჭოს დააკისროს პროფკავშირთა საბჭოების ტექნიკურ ინსპექციას მეთვალყურეობა კოლმეურნეობებში სამუშაოთა უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის მდგომარეობისადმი.

დაევალოთ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მუდმივი მუშების კადრებით სარემონტო-ტექნიკური სადგურების დაკომპლექტება.

სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს მუდმივი მუშების კადრებით აკომპლექტებენ სადგურების დირექტორები, ითვალისწინებენ რა კოლმეურნეობების შეუფერხებელი მომსახურების, სახელოსნოს მუშაობის უზრუნველყოფის და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში დარჩენილი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საწარმოო გამოყენების უზრუნველყოფის ამოცანებს, მთელ წელიწადში მუშების სრული დატვირთვის ვარაუდით.

შენარჩუნებულ იქნას სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებისათვის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის შრომის ანაზღაურების წესი, ყველა შეღავათი და უპირატესობა, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლად გაგზავნის პირობები, რომლებიც დაწესებული იყო მტს-ების შესაბამისი მუშაკებისათვის.

საგარანტიო მინიმუმს ფულით და ნატურით ტრაქტორისტებისა და სხვა მექანიზატორების მიერ გამომუშავებულ შრომადღეებზე იხდიან სარემონტო-ტექნიკური სადგურები სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და კოლმეურნეობების სახსრების ანგარიშზე იმ წესით და ოდენობით, რაც დაწესებულია მტს-ების მექანიზატორებისათვის.

კოლმეურნეობებისათვის კვალიფიციურ მექანიზატორთა და სხვა საწარმოო კადრების მომზადების უზრუნველყოფის მიზნით დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სამხარეო და საოლქო აღმასკომებთან შეთანხმებით მოაწყოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებში, ტექნიკურ, სახელოსნო, სამშენებლო სასწავლებლებსა და შრომითი რეზერვების სისტემის სკოლებში კოლმეურნეობათა საგზურებით ტრაქტორისტების, მემანქანეების, მექანიკოსების, ელექტრიკოსების, მშენებლებისა და მასობრივ პროფესიათა სხვა კადრების მომზადება.

კოლმეურნეობებისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადება იმ პროფესიებში, რომლებშიც წინათ კადრები მტს-ებისათვის მზადდებოდა, 1958-1959 წლებში წარმოებდეს მოქმედი პირობებით სახელმწიფოს ხარჯზე.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად განიხილონ საკითხი უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების შესახებ, წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ, მხედველობაში იქონიონ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სწორი განლაგება და მათი მიახლოება წარმოებასთან. წინადადებანი ამ საკითხზე წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 1 ივლისისათვის.

## კოლმეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების დაფინანსებისა და დაკრედიტების შესახებ

მტს-ების რეორგანიზაციასთან და კოლმეურნეობების მიერ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენასთან დაკავშირებით რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

ა) შეიტანონ საჭირო ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში, ამასთან მხედველობაში იქონიონ შემდეგი:

უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გაადიდონ კოლმეურნეობათა საკუთარი საბრუნავი სახსრების ფონდი იმ ოდენობამდე, რომელიც საჭიროა ნორმალური საწარმოო საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ამასთან გაითვალისწინონ ნავთობპროდუქტების, სათადარიგო ნაწილების, სარემონტო მასალებისა და ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა მასალების მუდმივი მარაგის შექმნა, აგრეთვე მომავალი წლების მოსავლისათვის მექანიზებულ სამუშაოთა შესრულების ხარჯების დასაფარავად;

გაადიდონ ფულადი შემოსავლის ანარიცხები განუყოფელ ფონდებში კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად, სკოლების, საავადმყოფოების, ინტერნატების, გზების ასაგებად, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენად;

ბ) შეცვალონ კაპიტალდაბანდებათა სტრუქტურა, რომლებიც გათვალისწინებულია კოლმეურნეობების 1958 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვით და საწარმოო გეგმით, იმ მიზნით, რომ გამოჰყონ განუყოფელი ფონდების საჭირო ფულადი სახსრები ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საყიდლად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კაპიტალური რემონტის საწარმოებლად.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს კოლმეურნეობათა იმ ხარჯების დამატებით, რომელთა დაკრედიტება ხდება ამჟამად, იმ შემთხვევაში, თუ მათ არ ჰყოფნით საკუთარი სახსრები, კოლმეურნეობებს აძლიოს მოკლევადიანი სესხები, რათა ანგარიში გაუსწორონ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს. შესრულებული სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოებისათვის, რომელთა ანაზღაურება ხდება ფულით, აგრეთვე ნაქირავები მანქანებით სარგებლობისა და კოლმეურნეობათა ტექნიკური მომსახურებისათვის, მანქანებისა და მოწყობილობის მიმდინარე რემონტის ხარჯის გასასტუმრებლად, ნავთობპროდუქტების, სათადარიგო ნაწილებისა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის შესაკეთებელი მასალების საყიდლად, გასასუქებელი ცხოველებისა და ფრინველის საყიდლად და, საკუთარი საბრუნავი სახსრების შექმნამდე, მომავალი წლის მოსავლისათვის სეზონური საწარმოო ხარჯების გასაწევად.

დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს იმ შემთხვევებში, როცა კოლმეურნეობებს აკლიათ სახსრები ნაყიდი ახალი მანქანების ღირებულების მთლიანად გასასტუმრებისათვის, მისცეს ამ მიზნით კოლმეურნეობებს კრედიტი მათი შუამდგომლობით 5 წლამდე ვადით, კოლმეურნეობის ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ დაწყებული 1958 წლის 1 ივლისიდან კოლმეურნეობათა ანგარიშსწორება სარემონტო-ტექნიკურ სადგურებთან და სხვა მიმწოდებლებთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაწესებულებებთან და ბიუჯეტთან წარმოებდეს იმ წესით, რომელიც დადგენილია სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

დაწესდეს, რომ სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს ნორმალური საწარმოო და სავაჭრო საქმიანობის უზრუნველსაყოფად ეძლევათ საკუთარი საბრუნავი სახსრები ნორმატიული მოთხოვნილების ფარგლებში:

ა) კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად განკუთვნილი ტრაქტორების, მანქანების, სათადარიგო ნაწილებისა და მოწყობილობის, საცვლელი კვანძების, აგრეგატების, სათადარიგო ნაწილებისა და რემონტისათვის საჭირო სხვა ნაკეთობათა შესაძენად, აგრეთვე საწვავისა და საცხები მასალების, სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა საქონლისა და მასალების შესაძენად როგორც საკუთარი წარმოებისათვის, ისე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მომარაგებისათვის;

ბ) დაუმთავრებელი წარმოებისათვის და დამხმარე მეურნეობათა საწარმოო მარაგისათვის.

მიზანშეწონილად იქნას ცნობილი, რომ კოლმეურნეობებს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაკვეთისას შეჰქონდეთ ავანსი სარემონტო-ტექნიკურ სადგურებთან შეთანხმებით მათი ღირებულების 10 პროცენტამდე.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით 1958 წლის 1 ივნისამდე განსაზღვროს სარემონტო-ტექნიკური სადგურებისათვის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის დანორმვის ძირითადი პრინციპები.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დააზუსტონ, რამდენი ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა სჭირდება სოფლის მეურნეობას წლის მეორე ნახევარში, ამასთან გაითვალისწინონ კოლმეურნეობათა განაცხადები ტრაქტორებსა და მანქანებზე და 1958 წლის 1 ივნისამდე წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მონაცემები აღნიშნული მოთხოვნილების შესახებ.

დაწესდეს, რომ სარემონტო-ტექნიკურ სადგურში იქმნება საწარმოს ფონდი მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის. ამ ფონდში გადარიცხვა უნდა ხდებოდეს საგეგმო მოგების 3 პროცენტისა და ზეგეგმითი მოგების 30 პროცენტის ოდენობით ისე, რომ ფონდში გადარიცხული თანხა ცალკეულ სადგურებში არ აღემატებოდეს სადგურის მუშაკთა ხელფასის წლიური ფონდის 7 პროცენტს.

დაწესდეს, რომ სარემონტო-ტექნიკური სადგურის გეგმიანი მოგების გამოყენება მას შემდეგ, რაც მოხდება გადარიცხვა საწარმოს ფონდში მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის, ხდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისათვის, და იგი ხმარდება უწინარეს ყოვლისა საკუთარი საბრუნავი სახსრების მატების, კაპიტალდაბანდებათა და სადგურის სხვა ხარჯების დაფინანსებას, გეგმის შესაბამისად, ხოლო დანარჩენი ნაწილი, მაგრამ არანაკლებ 10 პროცენტისა, ანარიცხების სახით შეტანილ უნდა იქნას მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში.

გავრცელდეს სარემონტო-ტექნიკურ სადგურებზე მოქმედება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებისა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო კისრულობს (მთლიანად ან ნაწილობრივ) მტს-ების ხარჯებს კოლმეურნეობებში წარმოებული სამუშაოებისათვის ამოძირკვის, ბუჩქისმჭრელებით მიწების გაწმენდის, ყამირის გატეხის დარგში და სხვა სამუშაოებისათვის.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს მოახსენონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 1958 წლის 15 ივლისისა და 1959 წლის 1 იანვრისათვის.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა განხორციელებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, და მოუწოდებენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო და რაიონულ აღმასკომებს, კოლმეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ამ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა.

## დარბაზობა კრემლში საკავშირო ალკკ XIII ყრილობის გამო

19 აპრილს საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კრემლის დიდ სასახლეში მოაწყო დარბაზობა საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XIII ყრილობის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ყრილობის დელეგატები, უცხოეთის ახალგაზრდობის დელეგაციათა ხელმძღვანელები და წევრები.

გიორგის დარბაზში შემოდიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი. შეკრებილნი მათ მქუხარე ტაშით ხვდებიან. გაისმის მისალმების შეძახილები.

კომუნიზმის საქმისადმი ჩვენი ახალგაზრდობის უსაზღვრო ერთგულებაზე ილაპარაკეს თავიანთ სიტყვებში უკრაინის, მოლდავეთის, შუა აზიის, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიის, შეიარაღებული ძალების კომკავშირელთა, ახალგაზრდა საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

დარბაზობაზე გამოვიდნენ აგრეთვე დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი ბრუნო ბერნინი და ჩინეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხუ კე-ში.

დამსწრეებს სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა. მისი სიტყვა შეკრებილებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და მრავალგზის შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით, მოწონების შეძახილებით.

დარბაზობამ განსაკუთრებული გულითადობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

## დარბაზობა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად

ვ ა რ შ ა ვ ა. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 17 აპრილს დარბაზობა მოაწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად.

პოლონეთის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ა. ზავადსკი, ს. ენდრიხოვსკი, ი. ლოგა-სოვინსკი, ე. მორავსკი, ე. ოხაბი, ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ე. ალბრეხტი, ზ. კლიშკო, ვ. იაროსინსკი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მ. ნაშკოვსკი.

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

19 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა სსრ კავშირში აკრედიტებულ ელჩებს:

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისას ნესტი ნასეს,

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისას ლუბენ გერასიმოვს,

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისას იანოშ ბოლდოცკის,

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისას ნგუენ ვან კინს,

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისას იოჰანეს კენიგს,

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისას ლიუ სიაოს,

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისას ლი სინ პხარს,

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისას სანჟიინ ბატას,

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისას ტადეუშ გედეს,

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისას იარომირ გოშეკს,

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითს საქმეთა რწმუნებულს ტიბერიუ პეტრესკუს,

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დროებითს საქმეთა რწმუნებულს ზ. პერიშიჩს,

ინდოეთის დროებით საქმეთა რწმუნებულს ვ. [illegible] ახუჯას,

შვეციის ელჩს რ. სულმანს.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნულ ელჩებს გააცნო საკითხები, რომლებიც [illegible] დება მაღალ დონეზე თათბირი[illegible] მომზადებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ვლადისლავ გომულკას
## პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ალექსანდრე ზავადსკის
## პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იუზეფ ცირანკევიჩს

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მეცამეტე წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გითვლიან თქვენ, ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო, და თქვენი სახით მთელ მოძმე პოლონელ ხალხს გულითად მოლოცვას და მხურვალედ გისურვებენ შემდგომ წარმატებებს ახალი, სოციალისტური სახალხო პოლონეთის მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ძმურ მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. იგი განმტკიცებულია ჩვენი ხალხების სისხლით, რომელიც დაიღვარა ერთობლივ ბრძოლაში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი ქვეყნების ხალხთა სახელოვან ისტორიაში სამუდამოდ შევიდა, როგორც ამ მეგობრობის მკაფიო გამოვლინება, პოლონეთისა და რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატების ერთობლივი გამოსვლები, რუსეთისა და პოლონეთის მუშათა კლასის თავდადებული ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რუსი და პოლონელი მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის ძმური კავშირი და მეგობრობა განმტკიცდა და გამოიწრთო ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში და მას პოლონეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ ახალი, სოციალისტური შინაარსი მიეცა.

ჩვენი ურთიერთობის სოციალისტურმა ხასიათმა გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულებით, რომელიც 1945 წლის 21 აპრილს დაიდო, და საბჭოთა კავშირ-პოლონეთის 1956 წლის 18 ნოემბრის განცხადებით. ამ დოკუმენტებში გამოხატულია ჩვენი ხალხების ურყევი მისწრაფება ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი კავშირი და ძმური მეგობრობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ურთიერთდახმარების, სრული თანასწორუფლებიანობის, სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ლენინური პრინციპების საფუძველზე. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ახალი ტიპის ურთიერთობა, რომელიც შეიქმნა ამ პრინციპების საფუძველზე სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის, უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყნებს შორის წარმოშობილი ყოველი საკითხის წარმატებით გადაჭრას ორივე სახელმწიფოს ინტერესებისათვის, სოციალიზმის ინტერესებისათვის.

ჩვენს ქვეყნებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში დიდი კმაყოფილების გრძნობას იწვევს საბჭოთა ხალხში. ფართო გაქანება, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, მიეცა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ეკონომიურ ურთიერთობას, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობის პრინციპი ორივე სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ჩვენს ქვეყნებში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეს ემსახურება.

ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სულ უფრო მზარდ მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას შორის, რაც ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ პრინციპებს.

პოლონელმა ხალხმა თავისი ნაცადი ავანგარდის — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შრომით მოიპოვა დიდი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში. სახალხო ხელისუფლების წლებში პოლონეთის მშრომელებმა, გადალახეს რა დიდი სიძნელეები, გაიარეს ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა და, სოციალისტური ქვეყნების ურთიერთდახმარებაზე დაყრდნობით, თავიანთი სამშობლო გადააქციეს ნამდვილ თავისუფალ, დამოუკიდებელ სახალხო რესპუბლიკად. ამჟამად სახალხო პოლონეთი ინდუსტრიული ქვეყანაა, სადაც განხორციელებულია ძირეული გარდაქმნები სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პოლონეთის მშრომელები, მჭიდროდ დარაზმულნი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სოციალიზმის მშენებლობაში.

ჩვენს ქვეყნებს, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, არა სურთ ომი და სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი მშვიდობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით. ისინი ყოველივე შესაძლებელს აკეთებენ, რათა მიაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, „ცივი ომის" ლიკვიდაციას და გამალებული შეიარაღების შეწყვეტას. მშვიდობისათვის ამ ბრძოლაში ძვირფასი წვლილია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინადადება ცენტრალურ ევროპაში ატომური და წყალბადის იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებამ უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის შესახებ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებამ საბჭოთა კავშირის მიერ ატომგულის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ პოლონელი ხალხისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მხურვალე მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა.

საბჭოთა კავშირი იზიარებს პოლონეთის შეშფოთებას იმის გამო, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველმა წრეებმა, რომლებსაც ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის აგრესიული მესვეურები აქეზებენ, არა მარტო უარყვეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეს წინადადება, არამედ მიიღეს გადაწყვეტილება ატომგულის იარაღით დასავლეთ გერმანიის არმიის აღჭურვის შესახებ.

სოციალისტური ქვეყნების ხალხებს მუდამ ახსოვთ ხრიკები მშვიდობის მტრებისა, რომლებიც ცდილობენ ჩააბან კაცობრიობა ახალ სისხლისმღვრელ ომში. საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, ისევე როგორც ვარშავის თავდაცვითი ხელშეკრულების სხვა მონაწილენი, კვლავაც ფხიზლად იდგებიან ჩვენი ქვეყნების მშრომელების მონაპოვართა სადარაჯოზე, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ სოციალისტური ბანაკის ერთიანობასა და შეკავშირებას.

ნება გვიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ერთხელ კიდევ გისურვოთ თქვენ და მთელ პოლონელ ხალხს წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის საქმეში, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მშრომელებს შორის ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

დაე ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს საბჭოთა და პოლონელი ხალხების მარადიული და ურღვევი მეგობრობა!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**
**ნ. ხრუშჩოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ვოროშილოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 20 აპრილი.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს
## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მე-13 წლისთავის გამო გითვლით თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის ხალხებს, უაღრესად გულითად მოლოცვასა და სურვილებს.

13 წლის წინათ საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლა დაეხმარა პოლონელი ხალხის წინააღმდეგობასა და ბრძოლას თავისი განთავისუფლებისათვის, მისმა გამარჯვებამ ჰიტლერიზმზე გადამწყვეტი წვლილი შეიტანა სამართლიან საზღვრებში დამოუკიდებელი სახალხო პოლონეთის შექმნის საქმეში და ამასთან ერთად გააადვილა ახალგაზრდა, სოციალიზმის მშენებელი პოლონეთის სახელმწიფოს დამკვიდრება.

პირველად ისტორიაში შეძლო ჩვენმა ორივე ქვეყანამ თავისი ურთიერთობისათვის საფუძვლად დაედო იდეებისა და საზოგადოებრივი წყობილების ერთობა, მტკიცე მეგობრობა, ძმობა და სუვერენიტეტის პატივისცემა, ყოველმხრივი თანამშრომლობა, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივ მისწრაფებებს და ორივე ხალხის ინტერესებს. ამ ახალმა ურთიერთობამ გამოხატულება ჰპოვა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ისტორიული ხელშეკრულებით.

ხელშეკრულების საფუძველზე დადებული მრავალი შეთანხმება წლითიწლობით აფართოებდა ჩვენს ეკონომიურ თანამშრომლობას, სავაჭრო ბრუნვას, ხოლო ფართო კულტურულმა და მეცნიერულმა ურთიერთობამ შესაძლებელი გახადა ურთიერთ გავცნობოდით მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ მიღწევებს, გამოცდილებას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის კავშირი, რომელიც განმტკიცებულია 1945 წლის 21 აპრილის ხელშეკრულებით, რაც დადასტურებული და განმტკიცებულია პოლონეთ-საბჭოთა კავშირის 1956 წლის 18 ნოემბრის ერთობლივი განცხადებით, კარგად ემსახურება ჩვენი ხალხების ძმობის, ურთიერთდახმარების, მთელი სოციალისტური ბანაკის ერთიანობის საქმეს, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმეს.

გიგზავნით თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ამ საზეიმო დღის გულწრფელ, მეგობრულ სურვილებსა და მისალმებას, ამავე დროს გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა, რომლის საფუძვლები მოიცავენ ჩვენი ქვეყნების მუშათა კლასის ერთობლივი რევოლუციური ბრძოლის მრავალი წლის ტრადიციებს და რომლის სიმბოლო გახდა 1945 წელს ხელმოწერილი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, განუწყვეტლივ განვითარდება და განმტკიცდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ჩვენი მოძმე ხალხების ინტერესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის საკეთილდღეოდ.

**ალექსანდრე ზავადსკი,**
**პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე.**

**ვლადისლავ გომულკა,**
**პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.**

**იუზეფ ცირანკევიჩი,**
**პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.**

ვარშავა, 1958 წლის 18 აპრილი.

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

# 1958 წელს მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგების მუშებისა და მოსამსახურეების შვიდი საათისა და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანისა და ხელფასის მოწესრიგების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, რომ 1958 წელს მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგების მუშები და მოსამსახურეები გადაყვანილ იქნან შვიდი საათისა და ექვსი საათის სამუშაო დღეზე და მოწესრიგდეს მათი ხელფასი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში და მტკიცედ მიდის კომუნიზმისაკენ. მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის ბაზაზე გაძლიერებული ტემპებით ვითარდება მრეწველობის სხვა დარგები, სოფლის მეურნეობა, უმაგალითო აყვავებას მიაღწია ჩვენმა მეცნიერებამ და კულტურამ, წლითიწლობით მაღლდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე. პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის. მარტო უკანასკნელ ხანს განხორციელდა დიდი ღონისძიებანი მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის, გადიდდა სახელმწიფო ასიგნობანი სოციალური დაზღვევისა და პენსიებისათვის, გაუდიდდათ ხელფასი მცირეხელფასიან მუშებსა და მოსამსახურეებს, ორი საათით შემცირდა სამუშაო დღე დასვენების და უქმე დღეების წინადღეებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, წარმატებით ხორციელდება საბინაო მშენებლობის პროგრამა.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ კიდევ უფრო გააძლიერა მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტივობა წარმოების მართვაში და შექმნა ახალი შესაძლებლობანი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის უფრო სწრაფი განვითარებისათვის, რასაც მთელი სიცხადით მოწმობენ უდიდესი წარმატებანი, რომლებიც მიღწეულია მრეწველობასა და მშენებლობაში 1957 წელს.

საბჭოთა ეკონომიკის განვითარება და შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა საშუალებას გვაძლევს ახლა უშუალოდ შევუდგეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული იმ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ამოცანის განხორციელებას, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადავიყვანოთ ყველა მუშა და მოსამსახურე, ხოლო ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული წამყვან პროფესიათა მუშები — ექვსი საათის სამუშაო დღეზე.

1956 და 1957 წლებში შემცირებულ სამუშაო დღეზე უკვე გადაყვანილი არიან დონეცისა და ლვოვ-ვოლინის აუზების ქვანახშირის შახტებში მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული მუშები და მთავრდება სამთამადნო, შავი მეტალურგიის მეტალურგიული და კოქს-ქიმიური საწარმოების მუშათა და მოსამსახურეთა გადაყვანა შვიდი საათისა და ექვსი საათის სამუშაო დღეზე. მრეწველობის აღნიშნულ დარგებში შემცირებულ სამუშაო დღეზე გადაყვანასთან ერთად მოწესრიგებულია მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი.

1958-1959 წლებში შესაძლებელი ხდება მთლიანად გადავიდეთ შემცირებულ სამუშაო დღეზე მძიმე მრეწველობის დარგებში და შევუდგეთ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკთა გადაყვანას შვიდი საათის სამუშაო დღეზე.

შემცირებულ სამუშაო დღეზე მუშათა და მოსამსახურეთა გადასვლისა და ხელფასის მოწესრიგების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს 1958 წელს შვიდი საათისა და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ იქნან მძიმე მრეწველობის შემდეგი დარგების საწარმოთა და საცდელ წარმოებათა მუშები და მოსამსახურეები და ამავე დროს განხორციელდეს მათი ხელფასის მოწესრიგება:

**ქვანახშირისა და ფიქალების მრეწველობა:** კიზელისა და ვორკუტის აუზები და მაგადანის ოლქის შახტები — 1958 წლის მაის-აგვისტოში, კუზნეცკისა და ყარაგანდის აუზები. კომბინატი „ინტა უგოლი", ტრესტი „არქტიკუგოლი" — 1958 წლის ივნის-სექტემბერში, მოსკოვის ოლქის, სახალინის, ზღვისპირეთის, შუა აზიისა და სხვა აუზები და რაიონები — 1958 წლის აგვისტო-დეკემბერში; დონეცისა და ლვოვ-ვოლინის აუზების საშახტო ზედაპირი — 1958 წლის მაის-აგვისტოში;

**ფერადი მეტალურგია:** მადნის მოპოვებისა და გამდიდრების, პირველადი ფერადი, ძვირფასი და იშვიათი ლითონების მეტალურგიული წარმოების, ფერადი ლითონების მეორადი გადამუშავებისა და გლინვის, სალ შენადნობთა წარმოების და ალმასის მოპოვების, თიხამიწის ფლუორისა და ქრომის შენაერთების წარმოების, ელექტროდული პროდუქციის წარმოების საწარმოები — 1958 წლის ივლის — 1959 წლის სექტემბერში;

**შავი მეტალურგიისა და კოქს-ქიმიური წარმოების საწარმოები, რომლებიც არ შედიოდნენ ყოფილი შავი მეტალურგიის სამინისტროს შემადგენლობაში,** აგრეთვე მანქანათმშენებელი ქარხნების მსხვილი მეტალურგიული საამქროები — 1958 წლის მაის-დეკემბერში;

**ცეცხლგამძლე და ლითონის ნაწარმის — მეტალურგიული ქარხნები, შავი ლითონების მეორადი გადამუშავების საწარმოები,** აგრეთვე შავი მეტალურგიის ქარხნების ძირითადი წარმოებისათვის ულითონო მასალების მოპოვების საწარმოები — 1958 წლის მაის-დეკემბერში;

**ქიმიური მრეწველობა:** სამთო-ქიმიური ნედლეულის მოპოვებისა და გამდიდრების საწარმოები, ძირითადი, აზოტის ორგანული და სპეციალური ქიმიის, ფიქალქიმიური, სატყეო ქიმიური და ჰიდროლიზური, ლაქსაღებავების, ქანგბადის, პლასტიკური მასებისა და მათი ნაწარმის, ქიმიურ-ფარმაცევტული ფოტო-ქიმიური საწარმოები, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს, პოლიგრაფიული საღებავების, ანილინის ნახევარპროდუქტებისა და საღებრების, სინთეზური ვიტამინებისა და სურნელოვანი ნივთიერებების, სინთეზური სპირტისა და სინთეზური კაუჩუკის, რეზინის, რეზინტექნიკური და ასბესტ-ტექნიკური ნაწარმის, მურისა და რეგენერატის საწარმოები — 1958 წლის ივლისში — 1959 წლის სექტემბერში, ხოლო თავდაცვითი და შინის მრეწველობის ქიმიური საწარმოები — 1958 წლის მაის-ოქტომბერში.

**ცემენტის ქარხნები, რკინაბეტონის და ბეტონის ნაკეთობათა და კონსტრუქციების,** ასბესტ-ცემენტის ნაკეთობათა საწარმოები, ასბესტის, ქარსის, გრაფიტის, ოზოკერიტისა და მარილის მომპოვებელი საწარმოები — 1958 წლის ივლის-დეკემბერში.

ქვანახშირისა და ფიქალების მრეწველობის, ფერადი მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის, ასბესტის, ქარსის, გრაფიტის, ოზოკერიტისა და მარილის მოპოვების წამყვანი პროფესიების მუშები, რომლებიც მიწისქვეშა სამუშაოებზე არიან დასაქმებული, გადაყვანილ იქნან ექვსი საათის სამუშაო დღეზე, ხოლო მრეწველობის იმ დარგების საწარმოთა დანარჩენი მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ პუნქტში, — შვიდი საათი სამუშაო დღეზე. სხვა წარმოებათა და პროფესიათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც უკვე დაწესებული აქვთ შვიდი საათისა და ნაკლები ხანგრძლივობის სამუშაო დღე, სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემდგომი შემცირება არ ხდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ დაავალეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით ერთი თვის ვადაში შეიტანოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებანი შემცირებულ სამუშაო დღეზე მუშათა და მოსამსახურეთა გადაყვანისა და ხელფასის მოწესრიგების შესახებ ამ დადგენილებაში ჩამოთვლილ მრეწველობის დარგებში, ამასთან მხედველობაში იქონიოს მცირეხელფასიანი მუშების ხელფასის შემდგომი გადიდება და მაქსიმალურ და მინიმალურ ხელფასს შორის განსხვავების შემცირება, ხელფასში ტარიფის ხვედრითი წონის გადიდება, გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებისა და შრომის ანაზღაურების ეკონომიურად ეფექტიანი სისტემების ფართოდ დანერგვა და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების უზრუნველყოფა.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაამტკიცებენ ამ წინადადებებს, მრეწველობის ზემოაღნიშნული დარგების ცალკეულ საწარმოებში მუშებისა და მოსამსახურეების შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანისა და ხელფასის მოწესრიგების კონკრეტულ ვადებს განსაზღვრავენ სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები და უწყებები პროფკავშირთა საბჭოებთან შეთანხმებით, იმის კვალობაზე, თუ რამდენად მზად იქნებიან საწარმოები სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებისა და შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებისათვის, რათა არ იქნას დაშვებული სამრეწველო წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერების შემცირება და ხელფასის დაწესებული ფონდის გადახარჯვა.

ამ მიზნით სახალხო მეურნეობის საბჭოები და საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებული არიან შეიმუშაონ და განახორციელონ შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასაყვან თვითეულ საწარმოში ტექნიკური, სამეურნეო და ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებაში ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, საწარმოთა რიტმული მუშაობის დანერგვას, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას დამხმარე საამქროებსა და საწარმოებში, სამუშაო დროის დანაკარგის შემცირებას, აგრეთვე საშტატო ზედმეტობათა აღმოფხვრასა და სამმართველო აპარატის შესანახი ხარჯების შემცირებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ დაავალეს პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ ტექნიკურ, სამეურნეო და ორგანიზაციულ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების გადიდება და წარმოების არსებული რეზერვების გამოყენება, მუშათა საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლება და შრომის პირობების გაუმჯობესება; მოაწყონ ამ ღონისძიებათა განხილვა მუშათა კრებებზე, საწარმოო თათბირებსა და კონფერენციებზე; განუმარტონ მშრომელებს ამ დადგენილების მნიშვნელობა, ფართოდ ჩააბან მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანისა და მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში და დააწესონ სისტემატური კონტროლი ამ მუშაობის განხორციელებისადმი, არ დაუშვან ამ საქმეში აჩქარება და ფორმალიზმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ მძიმე მრეწველობის მთელ რიგ წამყვან დარგებში მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა შემცირებულ სამუშაო დღეზე და ხელფასის მოწესრიგების განხორციელება კიდევ უფრო გააძლიერებს მშრომელთა აქტივობასა და შემოქმედებით ინიციატივას და ხელს შეუწყობს იმას, რომ კიდევ უფრო წარმატებით შესრულდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში.

**რედაქტორი პ. რატიანი.**

შვილი თამარ, სიძე ი. ჯაოშვილი იუწყებიან
**ოლღა ნიკოლოზის ასულ შავგულიძე-ჩიქოვანის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 22-IV, 5 ს. ფალიაშვილის ქ. № 64.

დედა ნინო, მამა მიხეილ, მეუღლე კოტე, ძმა ომარ; თამარ სამხარაძე იუწყებიან
**ასმათ მიხეილის ასულ ჯაფარიძე-უდენტის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 22-IV, 5 ს. გერცენის ქ. № 6.

მეუღლე ნინო, შვილები გიორგი, ქეთო, ლიზა, რძალი ანიკო, სიძეები ი. ნიკოლაშვილი, გ. დარჩიაშვილი; იოსებ, იროდა, მარიამ, ნიკო. ილია, გელა ქოქიაშვილები იუწყებიან
**დავით მალხაზის-ძე ქოქიაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IV სოფ. ვაქირში (სიღნაღის რ.).

შვილები ტერეზა, ოფელია, ამალია, სიძეები გ. კობახიძე, ვ. მარგალიტაძე, ი. ტარასევიჩი; ფლორენცია, მერაბ, ლუიზა, ნანა, თამარ იუწყებიან
**ვარდენ სოლომონის-ძე მერაბიშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 22-IV, 5 ს. ჩოდრიშვილის ქ. № 1.

მეუღლე ნიკოლოზ, შვილები მიხეილ, ქეთო, თინა, ნინო, რძალი თამარ, სიძე მ. ჯანაშვილი ოჯახებით იუწყებიან
**ოლღა ისაკის ასულ ნატროშვილი-ალადაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IV, სოფ. ზემო მაჩხაანში (წითელწყაროს. რ.).

შვილები ნიკოლოზ, ეკატერინე, ქეთო, რძლები გუგულა, ნინო, ძმა პავლე, სიძეები პ. ბლუაშვილი. ბ. ჩხიკვაძე; ზურაბ, ნოდარ, ჯემალ, ნარგიზ, მეგი, ციცინო, მზია იუწყებიან
**მელქო ილიას-ძე მაჭავარიანის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 22-IV, 5 ს. მაჩაბლის ქ. № 4-ა.

მეუღლე ელენე, შვილები ევგენია, ნიკოლოზ, რძალი ემა თუშმალიშვილები; მარენი, სერგო კეკელიები, ალექსანდრე თუშმალიშვილი იუწყებიან
**ალექსანდრე ანტონის-ძე თუშმალიშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 22-IV, 6 ს. თარხნიშვილის ჩიხი № 11

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თანამშრომლები იუწყებიან
**ივანე დავითის-ძე კიკნაძის**
გარდაცვალებას.

შვილები გიორგი, შალვა, ანა, მარო, ელენე, რძლები ნუნუ, მარო, ნორა, სიძეები მ. ვარძელაშვილი, მ. ნაოჭაშვილი ოჯახებით იუწყებიან
**ალექსანდრე გიორგის-ძე ცაცებაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IV, 5 ს. გორში, გამოსვენება კიროვის ქ. № 13.

მეუღლე ვლადიმერ, შვილი ზინაიდა, რძლები მარიამ, ლილი, სიძე ა. კეკოლაშვილი; ბესარიონ. შოთა, თინა, ნორა, ლამარა ჩიქოვანები იუწყებიან
**დესპინე გიორგის ასულ დგებუაძე-ჩიქოვანის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IV, სოფ. ებედათში (გეგეჭკორის რ.).

დედა ბაბული გრიგალაშვილი, მამა აკაკი ჯიბლაძე, და ლალი იუწყებინ პატარა
**ზურიკოს**
გარდაცვალებას. გამოსვენება 22-IV, 5 ს. მონტინის ქ. № 13-ა.

მეუღლე ოლღა, შვილები მაყვალა, ივდითი, როსტომ. რძალი ლიდა ბაკურაძეები; სიმონ, ლევან, ლონდა, ხათუნა, სიძე ვ. ქოქოსაძე იუწყებიან
**გრიგოლ სიმონის-ძე ბაკურაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IV, ამბროლაურში.

მეუღლე ვლასი, შვილი პაშა, რძალი ნადია ოჯახით, სიძე ს. ექსეულიძე; შორენა ექსეულიძე იუწყებიან
**პარასკევა ალექსანდრეს ასულ გეგუჩაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 22-IV, 6 ს. ფიროსმანის ქ. № 44.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაიონული საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის თანამშრომლები იუწყებიან პატარა
**ზურიკო აკაკის-ძე ჯიბლაძის**
გარდაცვალებას.

გაიანე, ლევან მუსხელიშვილები ოჯახით იუწყებიან
**გიორგი ბალათურიას**
გარდაცვალებას.

მეუღლე ანა, შვილები დიანა, გიგი, ძმა მიხეილ, დები ეფემია, ანეტა, თამარ, რძალი ნ. დიდებულიძე, სიძეები ი. პაპიაშვილი, გ. იაშვილი ოჯახებით იუწყებიან
**ვახტანგ გაბრიელის-ძე ჯანჯალაშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 22-IV, 4 ს. ბათუმის ქ. № 38.

უე 02532 საქართველოს კპ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 2